

შპს „მთავარი არხი“

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2023	2022
შემოსავალი სარეკლამო მომსახურებიდან	5	7,757	10,167
ტელე გადაცემებთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯი	6	(8,860)	(14,812)
საერთო ზარალი		(1,103)	(4,645)
სხვა საოპერაციო შემოსავალი	7	104	642
სხვა საოპერაციო ხარჯი	8	(7,603)	(6,117)
საოპერაციო ზარალი		(8,602)	(10,120)
ფინანსური ხარჯი	15	(176)	(155)
საკუროს სხვაობიდან მიღებული მოგება	9	170	46
ზარალი დაბეგვრამდე		(8,608)	(10,229)
მოგების გადასახადი		-	-
წლის სრული ზარალი		(8,608)	(10,229)

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2024 წლის 19 ივლისს:

ირაკლი ნიჟარაძე
ფინანსური დირექტორი

შპს „მთავარი არხი“

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2023	2022
შემოსავალი სარეკლამო მომსახურებიდან	5	7,757	10,167
ტელე გადაცემებთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯი	6	(8,860)	(14,812)
საერთო ზარალი		(1,103)	(4,645)
სხვა საოპერაციო შემოსავალი	7	104	642
სხვა საოპერაციო ხარჯი	8	(7,603)	(6,117)
საოპერაციო ზარალი		(8,602)	(10,120)
ფინანსური ხარჯი	15	(176)	(155)
საკუთხო სხვაობიდან მიღებული მოგება	9	170	46
ზარალი დაბეგვრამდე		(8,608)	(10,229)
მოგების გადასახადი		-	-
წლის სრული ზარალი		(8,608)	(10,229)

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2024 წლის 19 ივლისს:


ირაკლი ნიშვრადე
ფინანსური დირექტორი

5-18 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს „მთავარი არხი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	10	551	1,003
არამატერიალური აქტივები	11	172	726
არამატერიალური აქტივებისთვის გადახდილი ავანსი	11	697	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,420	1,729
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო მატერიალური მარაგები		-	2
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12	1,179	1,677
ფული და ფულის ეკვივალენტები	13	-	-
სულ მიმდინარე აქტივები		1,179	1,679
სულ აქტივები		2,599	3,408
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	14	37,415	34,293
დაუფარავი ზარალი	14	(60,837)	(52,230)
სულ კაპიტალი		(23,422)	(17,937)
მიმდინარე ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	15	1,980	1,644
საგადასახადო ვალდებულება	16	9,169	4,924
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	17	14,872	14,777
სულ მიმდინარე ვალდებულებები		26,021	21,345
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		2,599	3,408

5-18 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს „მთავარი არხი“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	საწესდებო კაპიტალი	დაუფარავი ზარალი	სულ კაპიტალი
31 დეკემბერი 2021	30,681	(42,001)	(11,320)
საანგარიშგებო წლის სრული ზარალი	-	(10,229)	(10,229)
მფლობელთან განხორციელებული ოპერაციები			
საწესდებო კაპიტალის ზრდა	3,612	-	3,612
31 დეკემბერი 2022	34,293	(52,230)	(17,937)
საანგარიშგებო წლის სრული ზარალი	-	(8,608)	(8,608)
მფლობელთან განხორციელებული ოპერაციები			
საწესდებო კაპიტალის ზრდა	3,122	-	3,122
31 დეკემბერი 2023	37,415	(60,838)	(23,423)

5-18 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს „მთავარი არხი“

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	2023	2022
ზარალი დაბეგვრამდე	(8,608)	(10,229)
არაფულადი კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	1,075	1,628
ფინანსური ხარჯი	176	155
ზარალი ძირითადი საშუალებების გაუფასურებიდან	234	-
საურავის და ჯარიმის ხარჯი	1,405	146
უიმედო და საექვო ვალების ხარჯი	1,526	176
მოგება კურსთაშორისი სხვაობიდან	(170)	(46)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობაზე	(4,362)	(8,170)
სამუშაო კაპიტალის ცვლილებებამდე		
შემცირება/(ზრდა) საოპერაციო აქტივებში:		
ცვლილებები სასაქონლო მატერიალური მარაგებში	2	16
ცვლილებები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	(331)	(1,097)
(შემცირება)/ზრდა საოპერაციო ვალდებულებებში:		
ცვლილებები საგადასახადო ვალდებულებებში	2,889	3,659
ცვლილებები სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	224	3,706
საოპერაციო საქმიანობაზე გასული	(1,578)	(1,886)
ფულადი სახსრები დაბეგვრამდე და პროცენტებამდე		
გადახდილი პროცენტი	-	-
გადახდილი მოგების გადასახადი	-	-
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობაზე	(1,578)	(1,886)
საინვესტიციო საქმიანობა		
ძირითადი საშუალების შესყიდვა	(1,528)	(113)
არამატერიალური აქტივის შესყიდვა	(167)	(1,268)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობაზე	(1,695)	(1,381)
ფინანსური აქტივობები		
აღებული/(დაფარული) სესხი	151	866
საწესდებო კაპიტალის შევსება	3,122	2,401
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	3,273	3,267
ფული და ფულის ეკვივალენტების წმინდა ზრდა/(შემცირება)	-	-
ფული და ფულადი ნაკადები პერიოდის დასაწყისში	-	-
კურსთა შორის სხვაობის ეფექტი ფულად სახსრებზე	-	-
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	-	-

1. კორპორატიული ინფორმაცია

შპს „მთავარი არხი“ (შემდგომში „კომპანია“) საიდენტიფიკაციო კოდით, 404574518, დაფუძნდა 2019 წლის 1 მარტს.

ძირითადი საქმიანობა. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ტელემაუწყებლობა. „მთავარი არხი“ მაუწყებლობს მთელი საქართველოს მასშტაბით, როგორც ღია ეთერით, ისე სატელეიტით, საკაბელო ოპერატორებისა და IP ტელევიზიების საშუალებით.

კომპანია შემოსავალს აგენერირებს სარეკლამო დროის რეალიზებით.

ინდუსტრიაში მარეგულირებელ ორგანოს წარმოადგენს სსიპ „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია“, სექტორის რეგულირება ხდება „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

აღნიშნული კანონი კომპანიას უწესებს გარკვეულ ვალდებულებებს, როგორცაა პროგრამული და ასაკობრივი შეზღუდვები, რეკლამის და პროგრამაში პროდუქტის განთავსების წესები და მასთან დაკავშირებული შეზღუდვები. ამ ვალდებულებების შეუსრულებლობა იწვევს ამავე კანონით გათვალისწინებულ სანქციებს. სანქციის მაქსიმალურ ზომას წარმოადგენს ავტორიზაციის შეჩერება. უკიდურესი ზომის გამოყენება კანონის თანახმად შესაძლებელია მხოლოდ მას შემდეგ რაც დარღვევისათვის სანქციის სახით უკვე გამოყენებულია წერილობითი გაფრთხილება და ჯარიმა.

ანგარიშგების წარდგენის თარიღისათვის, კომპანიას ჰქონდა მიმდინარე დავა კომუნიკაციების კომისიასთან, რომლის დეტალებიც შეგიძლიათ იხილოთ მე-18 შენიშვნაში. ინფორმაცია სანქციების შესახებ არის საჯარო და ხელმისაწვდომია კომუნიკაციების კომისიის საიტზე (<https://comcom.ge/>).

ანგარიშგების გამოცემის თარიღამდე კომისიას კომპანიასთან ავტორიზაციის შეჩერებასთან დაკავშირებული განხილვა არ ჰქონია.

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი. საქართველო, თბილისი, გიორგი ჩუბინაშვილის ქ. N 41.

კომპანიის მეწილეები: დეტალური ინფორმაცია კომპანიის მეწილეების შესახებ მოცემულია მე-14 შენიშვნაში. შპს „მთავარი არხი“ არ ფლობს ინვესტიციებს სხვა საწარმოებში.

საქართველოს ბიზნეს გარემო

კომპანია საქმიანობას საქართველოში ახორციელებს. საქართველოს განვითარებადი ეკონომიკის გარკვეული მახასიათებლები აქვს, მათ შორის შედარებით მაღალი ინფლაციის დონე და მაღალი საპროცენტო განაკვეთები. ქართული საგადასახადო კანონმდებლობა სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება და ხშირ ცვლილებებს განიცდის.

საქართველოს მომავალი ეკონომიკური განვითარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებულ ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

2. მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია ათას ლარში თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

შესაბამისობის განცხადება. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება შესაბამისობაშია მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტთან (შემდგომში მსს ფასს) და საქართველოს კანონთან „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე, მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომლებიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე, იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. მენეჯმენტის პოზიცია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენების მართებულობასთან დაკავშირებით მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-4 შენიშვნაში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა. ლარი არის კომპანიის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც ფუნქციონირებს. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2023 და 2022 წლების 31 დეკემბერს ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
31 დეკემბერი 2023	2.6894	2.9753
31 დეკემბერი 2022	2.7020	2.8844

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ბანკებში არსებულ მიმდინარე ანგარიშებს და დეპოზიტებს. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

ძირითადი საშუალებები.

- **აღიარება და შეფასება.** ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.
- **შემდგომი დანახარჯები.** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.
- **ცვეთა.** აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითად საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ მოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას.

ჯგუფი	მომსახურების ვადა (წელი)
სამაუწყებლო აღჭურვილობა	3-5
ოფისის აღჭურვილობა	1-5
სხვა ძირითადი საშუალებები	5

არამატერიალური აქტივები.

აღიარება და შეფასება. არამატერიალური აქტივები მოიცავს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე სააღრიცხვო პროგრამებს და ლიცენზიებს, ასევე ჩვენების უფლებას განსაზღვრული სერიების ოდენობით და საკუთარი დანახარჯებით შექმნილი სერიალს. არამატერიალური აქტივის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც რომელიმე მხარე შეასრულებს სახელშეკრულებო მოვალეობებს და ეს ხელშეკრულება აღარ იქნება მომავალში შესასრულებელი ხელშეკრულება. თუ კომპანია შეასრულებს ხელშეკრულებას, ხელშეკრულების შესრულება იქნება მოვლენა, რომელიც ანგარიშვალდებული საწარმოს უფლებასა და მოვალეობას, რომელიც ეხება ეკონომიკური რესურსების გაცვლას,

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

გარდაქმნის ეკონომიკური რესურსის მიღების უფლებად. არამატერიალური აქტივები აღრიცხულია თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

ამორტიზაცია. ამორტიზება უნდა დაიწყოს მაშინ, როდესაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება, მაგ., როდესაც ის იმყოფება იმ ადგილზე და იმ მდგომარეობაში, როცა მისი გამოყენება შესაძლებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნით. კომპანია არამატერიალური აქტივის ცვეთად ღირებულებას ანაწილებს სისტემატურ საფუძველზე მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე სააღრიცხვო პროგრამებს ლიცენზიებს და განუსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე ვებ-გვერდს ამორტიზაცია ერიცხებათ წრფივად სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. განუსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალურ აქტივის ამორტიზირების ვადად განსაზღვრულია 10 წელი. ფილმების და სერიალების ჩვენების უფლებას ამორტიზაცია ერიცხება აქტივის მოსალოდნელი გამოყენების მეთოდით, კერძოდ ამორტიზაცია განისაზღვრება ფაქტიურად გასული სერიების მიხედვით. საკუთარი წარმოების არამატერიალური აქტივის (სერიალი) ამორტიზირდება დაჩქარებული მეთოდის გამოყენებით, კერძოდ რიცხვთა ჯამის მეთოდით.

არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია ცხრილში შემდეგნაირად:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)/ამორტიზაციის მეთოდი
ვებ-გვერდი	3
პროგრამული უზრუნველყოფა	7
სხვა	1-7
ჩვენების უფლება	ფაქტიურად გასული სერიების/ფილმების მიხედვით რიცხვთა ჯამის მეთოდი
საკუთარი წარმოების სერიალი	

მარაგები. კომპანიის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად.

კომპანია მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილ მეთოდს.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. აქტივები, რომლებიც ექვემდებარება გაუფასურებას და ამორტიზაციას შემოწმებულია გაუფასურებაზე იმ შემთხვევაში, როდესაც მოვლენები ან გარემოებების ცვლილებები მიუთითებს, რომ მიმდინარე საბალანსო ღირებულება შესაძლოა არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აღიარებულია იმ თანხის ოდენობით, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად თანხას.

სესხები. სესხები თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით, შესაბამისი საოპერაციო ხარჯების გამოკლებით და შემდგომში ასახულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

გადახდილი ავანსი. გადახდილი ავანსი აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული საექვო ვალებზე შექმნილი რეზერვით. გადახდილი ავანსი კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი, როდესაც მოსალოდნელია, რომ გადახდილი ავანსი დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან, როდესაც გადახდილი ავანსი დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც საწყისი აღიარებისას კლასიფიცირებული იქნება როგორც გრძელვადიანი. აქტივის შესაძენად გადახდილი ავანსები გადადის ამ აქტივის საბალანსო ღირებულებაში ჯგუფის მიერ აქტივზე კონტროლის მოპოვების შემდეგ და როდესაც მოსალოდნელია, რომ ამ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ჯგუფში შემოვა. სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება გადახდილი ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. როდესაც არსებობს მინიშნება, რომ აქტივები, საქონელი ან მომსახურება, დაკავშირებული გადახდილი ავანსთან, არ იქნება მიღებული, მაშინ გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო მოთხოვნები. სავაჭრო მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. „იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია, წინააღმდეგ შემთხვევაში, კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო დებიტორული დავალიანება თავდაპირველად გამოხატულია გარიგების თანხით, შემდგომში შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით, საეჭვო ვალებზე შექმნილი რეზერვის გამოკლებით. გაუფასურების რეზერვი სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური საფუძველი რომ კომპანია ვერ შეძლებს მხარეებს შორის შეთანხმებული პირობებით ანაზღაურების სრულად მიღებას.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

საგადასახადო ვალდებულება. 2016 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილება მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა ყველა კომპანიისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი მოდელის მიხედვით გაუნაწილებელი მოგება არ იბეგრება, ხოლო განაწილებული იბეგრება 15%-იანი მოგების გადასახადის განაკვეთით, ნაცვლად წინა პერიოდებისა, როდესაც 15%-იანი მოგების გადასახადით იბეგრებოდა დაგროვილი მოგება განაწილების მიუხედავად. ცვლილების შედეგად, აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება. შესაბამისად კომპანია აღარ აღიარებს მიმდინარე და გადავადებულ მოგების გადასახადს და საგადასახადო ხარჯი დაკავშირებული მოგების განაწილებასთან აღიარდება მიმდინარე პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების თარიღის შესაბამისად.

გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა, აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

საპენსიო შენატანები. 2018 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან. საპენსიო რეფორმის მიხედვით, სისტემაში ჩართული დასაქმებული პირის მხრიდან სახელმწიფო ბიუჯეტში განხორციელდებოდა 2%-ის გადახდა, აღნიშნული ნაწილი იფარება თანამშრომლის ხელფასიდან და კომპანიას ეს ნაწილი დამატებით ხარჯად არ ეკისრება. აღნიშნულის პარალელურად დამსაქმებელი თავის მხრივ, დამატებით 2%-ს რიცხავს, რომელიც ხარჯად აღიარდება ხელფასის ხარჯის დარიცხვასთან ერთად და წარმოდგენილია ადმინისტრაციულ ხარჯებში.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები, რომლებიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

კაპიტალი. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ.

შემოსავლების აღიარება. შემოსავალი შეფასებულია მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს გაწეული მომსახურებისთვის მისაღები თანხის ოდენობას, დადგენილი შიდა შედგავთების ეფექტის გათვალისწინებით. კომპანია აღიარებს შემოსავალს, როდესაც შემოსავლის ოდენობა შეიძლება ობიექტურად შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან კომპანია მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

როდესაც ბარტერული ტრანზაქციით მიღებული საქონლის რეალური ღირებულება ობიექტურად არ არის შეფასებული, შემოსავლები განისაზღვრება მიწოდებული საქონლის ან მომსახურების რეალური ღირებულებით. კომპანიის შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენს სარეკლამო დროის გაყიდვა, შემოსავლების აღიარება ხდება რეკლამის განთავსებიდან შესრულებული მოსახურების მიხედვით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ხარჯების აღიარება. ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშგებო პერიოდში და ძირითადად ინახება საოპერაციო მიზნებისთვის;
 - მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში;
 - ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყინულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში.
- ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.
- ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში
- არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ

სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან.

ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

• **საგადასახადო კანონმდებლობა.** მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ კომპანიას დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდიათ. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ დაჭირვებია მნიშვნელოვანი შეფასების გაკეთება საგადასახადო პრაქტიკის შეფასებისთვის.

• **ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენების მართებულობა.** კომპანიის უნარზე საქმიანობა განაგრძოს როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ გავლენას ახდენს შემდეგი ფაქტორები:

- 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის აკუმულირებული ზარალი შეადგენს 60,837 ლარს.
- 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ვალდებულებები მთლიან აქტივებს აჭარბებს 23,422 ლარით;
- კომპანიას გასულ პერიოდებში გენერირებული აქვს უარყოფითი საოპერაციო ფულადი ნაკადები. რაც მიუთითებს, რომ კომპანიას აქვს ლიკვიდობის პრობლემა;

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

- 2022 წლის 16 მაისს, დააპატიმრეს კომპანიის დამფუძნებელი და გენერალური დირექტორი ნიკა გვარამია, ნეგატიური გავლენა იქონია პოტენციურ კლიენტებზე განეხორციელებინათ ნებისმიერი ტიპის ინვესტირება. აღნიშნული ტენდენცია შენარჩუნდა 2023 წლის განმავლობაშიც. ნიკა გვარამია პატიმრობიდან გათავისუფლდა 2023 წლის 22 ივნისს, თუმცა მიიღო გადაწყვეტილება არ ჩარეულიყო კომპანიის საქმიანობაში და დატოვა გენერალური დირექტორის თანამდებობა. (ოფიციალურად გადაწყვეტილება გაფორმდა 2024 წელს, თუმცა მანამდეც ფაქტობრივად არ ასრულებდა გენერალური დირექტორის ფუნქცია-მოვალეობებს. ნიკა გვარამიას პატიმრობის მომენტიდან, გენერალური დირექტორის მოვალეობას ასრულებდა გიორგი გაბუნია);
- 2023 წელს ვერ მოხერხდა მსხვილი დონორის მოზიდვა, რადგან საერთაშორისო ფონდების სტანდარტებიდან გამომდინარე, საჭირო იყო მაუწყებლობის სტანდარტების ამაღლება. ამიტომ, 2023 წელს მენეჯმენტმა დრო და ძალისხმევა დაუთმო აღნიშნული სტანდარტების ამაღლებას - მათ შორის, სარედაქციო პოლიტიკის დაბალანსებას, პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავებას, სარედაქციო ბორდის შექმნას (ნებისმიერი- გარე თუ შიდა გავლენისგან თავის დასაცავად) და ა.შ. აღნიშნული სტანდარტების ამაღლებამ შედეგი მოიტანა და 2024 წლის მარტში, საერთაშორისო დონორმა არხისთვის გამოყო ფინანსური დახმარება (გრანტი).

მედია კომპანიის სისტემა ჯაჭვური სტრუქტურის ბუნებისაა. ხარჯების ოპტიმიზაცია პირდაპირ პროპორციულად აისახება „მთავარი არხის“ ეთერზე, მის ხარისხსა და არხის რეიტინგზე, რომელიც პირდაპირპროპორციულია შემოსავლების ოდენობასთან. შესაბამისად, მენეჯმენტი ფრთხილია ხარჯების შემცირებაზე, გადაწყვეტილებების მიღებისას და ხარჯების ოპტიმიზაციის გარდა, ცდილობს შემოსავლების მიღების ახალი იდეების გენერირებას.

2023 წელი შეიძლება შეფასდეს, როგორც მძიმე. მენეჯმენტის მხრიდან საჭირო გახდა ისეთი ღონისძიებების გატარება, რომელიც მისცემდა საშუალებას უზრუნველყო არხის გადარჩენა. ამასთან, მენეჯმენტს უნდა მიეღო ისეთი ზომები, რომელიც შესაძლოა ყოფილიყო მძიმე და ხისტი, თუმცა, ამავე დროს მიღწეული უნდა ყოფილიყო მთავარი მიზანი - გადარჩენილიყო მედია საწარმო. ეს ამოცანა, კი უნდა შესრულებულიყო იმის გათვალისწინებით, რომ არხს შეენარჩუნებინა რეიტინგი, რომელიც სარეკლამო შემოსავლებისთვის მთავარი წყაროა;

2023 წელს კომპანია უწყვეტი ფინანსური გამოწვევების წინაშეა. წინა წლებში აკუმულირებულმა პრობლემებმა პირდაპირი გავლენა იქონია 2023 წლის ფინანსურ მდგომარეობაზე. მენეჯმენტმა იმის შესაფასებლად აქვს თუ არა კომპანიას უნარი განაგრძოს საქმიანობა როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ იხელმძღვანელა შემდეგი ფაქტორებით:

- 2023 წელს მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა. თუმცა, მენეჯმენტმა რთულ სიტუაციაში შეძლო კომპანიის ფუნქციონირების და ხელფასების გაცემის კუთხით, მდგომარეობის დასტაბილურება. კერძოდ, ფუნქციონირების კუთხით მოხდა მაუწყებლობის სტანდარტების ამაღლება, შენარჩუნდა რეიტინგი და რიგ შემთხვევებში მიღწეულ იქნა გაუმჯობესებული რეიტინგიც, შენარჩუნდა გადაცემები, შეწყდა თანამშრომელთა გადინება, გარკვეულწილად დასტაბილურდა კომპანიის შემოსავალი. ფინანსური კუთხით - 2023 წლის მე-2 ნახევრიდან კომპანიამ დაიწყო მიმდინარე სახელფასო ვალდებულებების შესრულება იმგვარად, რომ აღარ მომხდარიყო დამატებით სახელფასო ვალდებულებების დაგროვება. თუმცა, კომპანია კვლავ ვერ ახერხებს დავალიანებების (მიმდინარე და ძველი საბიუჯეტო გადასახადების, ძველი სახელფასო დავალიანებების, კრედიტორული დავალიანებების) დაფარვას.
- ნიკა გვარამიას დაპატიმრების შემდეგ, კომპანიის თანამშრომლების მიერ დაფუძნებული "მედიის თავისუფლების ფონდში" შემოწირულობები შემცირდა და მოხდა მხოლოდ მიზერული თანხის შემოღინება, ვინაიდან ნიკა გვარამიას პატიმრობის შემდეგ, არხმა შეწყვიტა საზოგადოებისთვის დახმარების თხოვნა.
- 2023 წელს გაგრძელდა დაბალუჯეტოანი გადაცემების უზრუნველყოფა. ასეთი გადაცემები იყო მაგალითად, "ლიტერატურული სამკუთხედი", ასევე, პერიოდულად ფინანსდებოდა რუბრიკები სხვადასხვა შემეცნებით-გასართობ გადაცემებში.
- 2024 წლიდან ინტენსიური შრომისა და სტანდარტების ამაღლების შედეგად, მსხვილი დასავლური დონორისგან მოპოვებულ იქნა ფინანსური დახმარება (მედიის თავისუფლების ფონდის მიერ, მთავარი არხის ჟურნალისტთა სახელფასო ვალდებულებების გასტუმრებისთვის). კომპანია აგრძელებს დონორების მიმართულებით მუშაობას და მენეჯმენტს მიაჩნია, რომ დამატებით კიდევ იქნებოდა შესაძლებელი პროგრესი 2024 წელს.
- მიმდინარე 2024 წლის პერიოდში არხს დაუდგა ახალი გამოწვევა. ინტენსიური პოლიტიკური პროცესების გამო, მაუწყებლის საეთერო ბადე ჩვეული განრიგით არ მიმდინარეობდა, ამოვარდა სარეკლამო ბლოკები, რამაც გამოიწვია შემოსავლის დაკარგვა. სამომავლოდ, რთულია პოზიტიური პროგნოზის გაკეთება.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

- 2024 წელი არის საპარლამენტო არჩევნების წელი. მენეჯმენტს აქვს მოლოდინი რომ ფასიანი პოლიტიკური რეკლამებიდან მიღებული შემოსავალი გარკვეულწილად უზრუნველყოფს ფულადი ნაკადების გენერირებას საოპერაციო საქმიანობის დასაფინანსებლად.

ზემოაღნიშნული მოვლენების ფონზე, მენეჯმენტისთვის რთულია პროგნოზის გაკეთება, თუმცა კომპანია (მენეჯმენტი და თანამშრომლები) მოტივირებული არიან განაგრძონ მუშაობა. კომპანია ორიენტირებულია გადალახოს ყველა შემხვედრი ბარიერი, რომელიც იქმნება გარე ფაქტორების გამო.

კომპანია ამ ეტაპზე, კვლავ აგრძელებს მუშაობას ფინანსური მდგომარეობის გამოსასწორებლად და ეძებს სახსრებს საბიუჯეტო დავალიანების დასაფარად. ფინანსური სახსრების მოპოვებისთანავე, არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით, კომპანია მოიაზრებს მთავრობისთვის დავალიანების რესტრუქტურისაციის მოთხოვნის გაგზავნას.

გართულებული ეკონომიკური სიტუაციის და დიდი მოცულობის ადმინისტრაციული ხარჯების გამო, მენეჯმენტის შეფასებით, კომპანია მიმდინარე 2024 წლის და მომდევნო წლის განმავლობაში ვერ შეძლებს დადებითი ფულადი ნაკადების გენერირებას, თუ არ მოხდა ზემოთ აღწერილი შემაფერხებელი ბარიერების მოხსნა. საჭიროა აღნიშნული ზარალის დაფინანსება.

საოპერაციო ხარჯების დაფინანსების ძირითად წყაროს წარმოადგენს დამფუძნებლების შენატანები საწესდებო კაპიტალში. კომპანიის მეწილეებისთვის ხელმისაწვდომია კომპანიის ბუღალტრული დოკუმენტაცია და ინფორმაცია ფინანსური მდგომარეობის შესახებ, მათ შორის, ხელმისაწვდომია ინფორმაცია მოსალოდნელი ზარალის მოცულობის შესახებ. კომპანიის მეწილეები გამოთქვამენ მზადყოფნას დააფინანსონ აღნიშნული ზარალი განჭვრეტად მომავალში.

როგორც ზოგადი ეკონომიკური და პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე, კომპანიის მენეჯმენტი ძირითადად კონცენტრირებულია კომპანიის და საოპერაციო საქმიანობის ყოველდღიურ ეფექტურ მართვაზე, რომ საქმიანობის შეუფერხებლად მოხდეს მიმდინარე ვალდებულებების გასტუმრება. შესაბამისად, მენეჯმენტის შეფასებით ახლა შეუძლებელია გრძელვადიანი ბიუჯეტების შედგენა, რადგან არსებობს ბევრი მნიშვნელოვანი ცვალეზადი ფაქტორი და ობიექტური გარემოება, მათ შორის ქვეყანაში არსებული პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა, რაც მომავალს ხდის არაგანჭვრეტადს და ართულებს ვალიდური დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას.

კომპანიის მენეჯმენტს და დამფუძნებლებს სჯერათ, რომ კომპანიას აქვს დიდი გამოცდილების მქონე საკადრო რესურსი. სწორი სტრატეგიის შემუშავებით და გატარებით იმედოვნებენ, რომ საშუალოვადიან პერსპექტივაში ბაზრის წილის, სარეკლამო შემოსავლების მნიშვნელოვანი ზრდა, ხარჯების მნიშვნელოვანი ოპტიმიზაცია და ზემოთაღწერილი ბარიერების აღმოფხვრა ხელს შეუწყობს საქმიანობის შეფერხებების გარეშე ოპერირებას. ამასთან, მენეჯმენტს აქვს მოლოდინი, რომ ამ პერიოდში წარმოშობილ დეფიციტს შეავსებენ ან კომპანიის მეწილეები და/ან საერთაშორისო დონორები (ფინანსური დახმარების მოპოვებისა და უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ კანონის მხრიდან ხელშეშლის არარსებობის შემთხვევაში). კომპანიის მენეჯმენტს აქვს მეწილეების ნაწილისგან მიღებული მხარდაჭერის წერილი.

5. შემოსავალი სარეკლამო მომსახურებიდან

შემოსავალი სარეკლამო მომსახურებიდან შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	2023	2022
შემოსავალი სარეკლამო დროის რეალიზაციიდან	4,611	5,837
შემოსავალი სპონსორობიდან	1,957	3,175
შემოსავალი სარეკლამო პროდუქციის გადაცემაში ინტეგრირებიდან	1,116	980
სხვა შემოსავალი	73	175
სულ	7,757	10,167

აღნიშნული შემოსავალი გენერირებულია კომპანიის მიერ სარეკლამო დროის და ტელეარხის სამაუწყებლო ეთერში განთავსებულ პროგრამებში პროდუქტის განთავსების უფლების რეალიზაციით. კომპანიას როგორც სარეკლამო დრო სრულად, ასევე პროგრამებში პროდუქტის განთავსების უფლება, ხელშეკრულებით განსაზღვრული გამოწვევების გარდა გადაცემული აქვს შპს ნიუ სეილისთვის, რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს შუამავალ რგოლს, ერთის მხრივ, სარეკლამო სააგენტოებსა და მედიის მეგობრებს, მეორეს მხრივ კი, მედია-საშუალებებს შორის.

შპს „მთავარი არხი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

6. ტელე გადაცემებთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯი

შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯი შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	2023	2022
ხელფასის ხარჯი	(7,305)	(10,945)
ცვეთა და ამორტიზაცია	(716)	(1,281)
იჯარის ხარჯი	(240)	(1,469)
ქსელით სარგებლობის ხარჯი	(235)	(235)
ხმის უზრუნველყოფის ხარჯი	(153)	(369)
სიგნალის მიღების ხარჯი	(157)	(277)
სტუდიების კეთილმოწყობის ხარჯი	(38)	(108)
გადაცემის მომზადების ხარჯი	(10)	(76)
სხვა ხარჯი	(6)	(52)
სულ	(8,860)	(14,812)

7. სხვა საოპერაციო შემოსავალი

ფინანსური გამოწვევების გამო, კომპანიის თანამშრომლებმა დააფუძნეს "მედიის თავისუფლების ფონდი", რომელიც ფუნქციონირებს შემოწირულობებით. აღნიშნული ფონდის დახმარებით გარკვეულწილად ხდება ჟურნალისტების საქმიანობისთვის ფინანსური ხელშეწყობა. 2023 წელს მედიის თავისუფლების ფონდის საშუალებით მოხილზებულია 58 ლარი (2022 წელს 342 ლარი), რომელიც სრულად არის გამოყენებული სახელფასო დავალიანებების დასაფარად. 2023 და 2022 წლებში სხვადასხვა ფიზიკური პირებისგან მიღებული შემოსავალია შესაბამისად, 46 და 300, ლარი.

8. სხვა საოპერაციო ხარჯი

სხვა საოპერაციო ხარჯი შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	2023	2022
ხელფასის ხარჯი	(2,265)	(2,964)
უიმედო და საეჭვო ვალის ხარჯი (შენიშვნა 12)	(1,526)	(176)
საურავის და ჯარიმის ხარჯი	(1,405)	(146)
სატელევიზიო რეიტინგის კვლევის ხარჯი	(568)	(700)
კომუნალური და კომუნიკაციის ხარჯი	(398)	(494)
ცვეთა და ამორტიზაცია	(359)	(347)
საწვავის ხარჯი	(337)	(564)
ძირითადი საშუალებების გაუფასურების ხარჯი	(234)	-
საპენსიო ხარჯი	(139)	(203)
სხვა ხარჯი	(372)	(523)
სულ	(7,603)	(6,117)

საურავის და ჯარიმის ხარჯი სხვა საკითხებთან ერთად მოიცავს საგადასახადო დავალიანების გადაუხდელობის გამო დაკისრებულ საურავს 1,355 ლარის ოდენობით.

9. საკურსო სხვაობიდან მიღებული მოგება

საკურსო სხვაობიდან მიღებული მოგება შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	2023	2022
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	179	45
მიღებული სესხები	(9)	11
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	(10)
სულ	170	46

შპს „მთავარი არხი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

10. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	სამაუწყებლო აღჭურვილობა	ოფისის აღჭურვილობა	სხვა ძირითადი საშუალებები	სულ ძირითადი საშუალებები
31 დეკემბერი 2021	1,398	230	155	1,783
შემოსვლა	60	37	14	111
გასვლა/ჩამოწერა	-	-	-	-
31 დეკემბერი 2022	1,458	267	169	1,894
შემოსვლა	19	35	80	134
გასვლა/ჩამოწერა	(207)	(28)	(158)	(393)
31 დეკემბერი 2023	1,270	274	91	1,635
დაგროვილი ცვეთა				
31 დეკემბერი 2021	(428)	(71)	(16)	(515)
ცვეთის ხარჯი	(310)	(51)	(15)	(376)
გასვლა/ჩამოწერა	-	-	-	-
31 დეკემბერი 2022	(738)	(122)	(31)	(891)
ცვეთის ხარჯი	(277)	(59)	(18)	(354)
გასვლა/ჩამოწერა	143	18	-	161
31 დეკემბერი 2023	(872)	(163)	(49)	(1,084)
საბალანსო ღირებულება				
31 დეკემბერი 2022	720	145	138	1,003
31 დეკემბერი 2023	398	111	42	551

კომპანიას იჯარით აქვს აღებული როგორც საოფისე ფართი, ასევე სამაუწყებლო საქმიანობისათვის საჭირო უძრავი და მოძრავი ქონება.

11. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	ჩვენების უფლება	სერიალი	სხვა	სულ
31 დეკემბერი 2021	2,701	423	51	3,175
შემოსვლა	1,270	-	-	1,270
გასვლა/ჩამოწერა	-	-	-	-
31 დეკემბერი 2022	3,971	423	51	4,445
შემოსვლა	167	-	-	167
გასვლა/ჩამოწერა	(1,024)	-	-	(1,024)
31 დეკემბერი 2023	3,114	423	51	3,588
დაგროვილი ამორტიზაცია				
31 დეკემბერი 2021	(2,096)	(349)	(21)	(2,466)
ამორტიზაციის ხარჯი	(1,170)	(74)	(9)	(1,253)
გასვლა	-	-	-	-
31 დეკემბერი 2022	(3,266)	(423)	(30)	(3,719)
ამორტიზაციის ხარჯი	(716)	-	(5)	(721)
გასვლა	1,024	-	-	1,024
31 დეკემბერი 2023	(2,958)	(423)	(35)	(3,416)

შპს „მთავარი არხი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

11. არამატერიალური აქტივები (გაგრძელება)				
საბალანსო ღირებულება				
31 დეკემბერი 2022	705	-	21	726
31 დეკემბერი 2023	156	-	16	172

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არამატერიალური აქტივების, კერძოდ სერიალების შესაძენად გადახდილია ავანსი 697 ლარის ოდენობით.

კომპანიამ შეწყვიტა ისეთი ტიპის არამატერიალური აქტივების აღიარება, რომლის ლიცენზიის ვადა არ აღემატებოდა 2023 წელს.

არამატერიალური აქტივები მოიცავს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე სააღრიცხვო პროგრამებს და ლიცენზიებს, ასევე ჩვენების უფლებას განსაზღვრული სერიების ოდენობით და საკუთარი დანახარჯებით შექმნილ სერიალს. არამატერიალური აქტივის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც რომელიმე მხარე შეასრულებს სახელშეკრულებო მოვალეობებს და ეს ხელშეკრულება აღარ იქნება მომავალში შესასრულებელი ხელშეკრულება. თუ კომპანია შეასრულებს ხელშეკრულებას, ხელშეკრულების შესრულება იქნება მოვლენა, რომელიც ანგარიშვალდებული საწარმოს უფლებასა და მოვალეობას, რომელიც ეხება ეკონომიკური რესურსების გაცვლას, გარდაქმნის ეკონომიკური რესურსის მიღების უფლებად. არამატერიალური აქტივები აღრიცხულია თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
სავაჭრო მოთხოვნები	2,401	1,726
გაუფასურების ანარიცხი	(1,524)	(106)
ფინანსური მოთხოვნები, ნეტო	877	1,620
გადახდილი ავანსები	592	241
გაუფასურების ანარიცხი	(290)	(184)
არაფინანსური მოთხოვნები	302	57
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,179	1,677

წლის განმავლობაში გაუფასურების ანარიცხის მოძრაობა შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	2023	2022
ნაშთი წლის დასაწყისში	290	114
უიმედო და საექვო ვალის რეზერვის ცვლილება	1,525	176
ნაშთი წლის ბოლოს	1,815	290

წლის განმავლობაში სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურება, 1,418 ლარის ოდენობით სრულად არის დაკავშირებული შპს გაყიდვების სახლთან არსებული მოთხოვნის გაუფასურებასთან. კერძოდ, ვინაიდან კომპანიის საბანკო ანგარიშებზე წარდგენილია საინკასო დავალებები, კომპანიის მიერ ვერ ხერხდება საგადასახადო ანგარიშფაქტურის გამოწერა, მომხმარებელი ვერ ითვლის მიღებულ მომსახურებაზე დღგ-ს თანხებს. შესაბამისად, შპს გაყიდვების სახლი თვითონ იხდის შესაბამის დღგ-ს სახელმწიფო ბიუჯეტში. ვინაიდან შეუძლებელია იმის განსაზღვრა თუ რა ოდენობით და როდის იქნება შესაძლებელი გაწეულ მომსახურებაზე ანგარიშ-ფაქტურის გამოწერა და მომხმარებლის მიერ დღგ-ს ჩათვლის უფლების აქტივაცია, ამასთანავე, იმის გათვალისწინებით რომ საგადასახადო კანონმდებლობით განსაზღვრულია 3 წლიანი ხანდაზმულობის ვადა, მათ შორის ამ სახის დღგ-ს ჩათვლის უფლების გამოყენების მიზნებისთვის, შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის უფლება ვერ იქნას გამოყენებული ჩათვლის პერიოდებში, საგადასახადო ხანდაზმულობის გამო. აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ აღნიშნული სავაჭრო მოთხოვნა ექვემდებარება გაუფასურებას დღგ-ს შესაბამისი თანხით.

შპს „მთავარი არხი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

13. ფული და ფულის ეკვივალენტები

კომპანიას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ გააჩნია ფულისა და ფულის ეკვივალენტების ნაშთი. შემოსავლების სამსახურის 2022 წლის 21 იანვრის 011 -2022-010156 ბრძანებით საბანკო ანგარიშებიდან გადასახადის, საურავის და ჯარიმის თანხების ჩამოწერის შესახებ „საქართველოს საგადასახდო კოდექსის“ 243-ე მუხლის პირველი ნაწილით კომპანიის საბანკო ანგარიშებზე გადასახადის, საურავის და ჯარიმის თანხების და შესაბამის ბიუჯეტში ჩარიცხვის მიზნით წარდგენილ იქნა საინკასო დავალებები.

14. კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი მოიცავს საწესდებო კაპიტალს და დაგროვილ ზარალს. საწესდებო კაპიტალი შეადგენს 37,415 ლარს (2022 წელი: 34,293 ლარს,) მათ შორის 2023 წელს ფულადი ფორმით შევსებული კაპიტალი შეადგენს 3,122 ლარს (2022 წელს: 3,612 ლარს).

კომპანიის მეწილეთა გადანაწილება 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით არის შემდეგი:

მფლობელი	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
BGIM LTD	39%	39%
ბაკურ ჯახაია	37.0%	37.0%
ნიკა გვარამია	12.0%	12.0%
ნიკოლოზ სისაური	3.0%	3.0%
მარი ანა რურუა	2.5%	2.5%
გიორგი რურუა	2.5%	2.5%
შპს საქართველოს უნივერსიტეტი	2.0%	2.0%
სხვა	2.0%	2.0%

შპს BGIM LTD -ის 100% წილის მფლობელია ზაზა ოქუაშვილი. შპს „საქართველოს უნივერსიტეტის“ მეწილეები 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყვნენ შემდეგი ფიზიკური პირები:

- ნიკოლოზ ალასანია 12.5%;
- გიული ალასანია 37.5%;
- მანანა სანაძე 50%.
-

15. მოკლევადიანი სესხები

მოკლევადიანი სესხები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

მიღებული სესხი დაკავშირებული	საპროცენტო განაკვეთი	სესხის ვადა	ვალუტა	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ფიზიკური პირისგან	10.8%	ვადადამდგარი	ლარი	1,023	831
იურიდიული პირისგან	13.4%	ვადადამდგარი	ლარი	777	694
ფიზიკური პირისგან	7.1%	ვადადამდგარი	დოლარი	180	119
სულ				1,980	1,644

სესხის მოძრაობა წლების განმავლობაში შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	2023	2022
საწყისი ნაშთი	1,644	634
სესხის მიღება	151	918
სესხის გადახდა	-	(52)
პროცენტის დარიცხვა	176	155
სესხის გადაფასება	9	(11)
საბოლოო ნაშთი	1,980	1,644

შპს „მთავარი არხი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

16. საგადასახადო ვალდებულება

2016 წლის 1 იანვრიდან, საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილების შესაბამისად ყველა საგადასახადო ვალდებულება ირიცხება ერთიან სახაზინო ანგარიშზე/კოდზე, შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში, საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია ნეტო თანხით.

17. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
სავაჭრო ვალდებულებები	6,283	6,368
გადასახდელი ხელფასები	7,121	6,325
ვალდებულებები საპენსიო ფონდთან	1,468	1,307
ფინანსური ვალდებულებები	14,872	14,000
მიღებული ავანსები	-	777
არაფინანსური ვალდებულებები	-	777
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14,872	14,777

18. პირობითი ვალდებულებები

გადასახადები

საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. ასევე არსებობს საგადასახადო ორგანოების მიერ სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკა. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადები და დამატებითი რეზერვების შექმნა არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებს კომპანიის შემოწმება შეუძლიათ ბოლო სამი წლის განმავლობაში.

სასამართლო დავები

დროდადრო, ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში, შეიძლება კომპანიის წინააღმდეგ პრეტენზიები იქნას წამოყენებული. კომპანიამ საქალაქო სასამართლოში გაასაჩივრა კომუნიკაციების კომისიის 2020 წლის 3 დეკემბრის გადაწყვეტილება (ნომრით გ-20-18/889) შპს „მთავარი არხისთვის“ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე. ამ გადაწყვეტილებით, კომისიამ არხი დააჯარიმა 58 ლარით. საქმე ფინანსური ანგარიშგების გამოცემის თარიღისთვის, წარმოებაშია პირველ ინსტანციაში, საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში. მენეჯმენტის შეფასებით, არსებული სიტუაციის გათვალისწინებით არსებობს მაღალი ალბათობა, რომ სასამართლომ გაამართლოს კომისია და არხს მოუწიოს ჯარიმის 58 ლარის გადახდა.

კომპანიამ საქალაქო სასამართლოში გაასაჩივრა კომუნიკაციების კომისიის 2021 წლის 25 ნოემბრის გადაწყვეტილება N გ-21-18/634 შპს „მთავარი არხისთვის“ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე. ამ გადაწყვეტილებით, კომისიამ არხი ცნო სამართალდამრღვევად და დააჯარიმა მისი წლიური შემოსავლის 1 %- ის ოდენობით - 112 ლარით. საქმე ფინანსური ანგარიშგების გამოცემის თარიღისთვის, წარმოებაშია პირველ ინსტანციაში, საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში. მენეჯმენტის შეფასებით, არსებული სიტუაციის გათვალისწინებით არსებობს მაღალი ალბათობა, რომ სასამართლომ გაამართლოს კომისია და არხს მოუწიოს ჯარიმის 112 ლარის გადახდა.

2021 წლის ნოემბრიდან 2022 წლის იანვრის ჩათვლით პერიოდში საჯარო მოხელეთა 11 სარჩელი ჩაბარდა მთავარ არხს. ყველა სარჩელი ფაქტობრივად იდენტურია. სასარჩელო მოთხოვნის შესაბამისად, მოსარჩელები მოითხოვენ პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობების უარყოფას. მორალური ზიანის ანაზღაურებისთვის თითოეული მათგანი ითხოვს 56 ლარს სოლიდარულად შპს „მთავარი არხისა“ და ნიკა გვარამიასგან. სასამართლომ

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

18. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

ერთ-ერთი მოსარჩელის მოთხოვნა ნაწილობრივ დააკმაყოფილა და კომპანიას მორალური ზიანის ანაზღაურებისთვის მოპასუხეებს (მთავარი არხი და ნიკა გვარამია) სოლიდარულად დააკისრა 4,5 ლარის გადახდა მოსარჩელის სასარგებლოდ. საქმე დასრულებულია საქალაქო სასამართლოს პირველ ინსტანციაში. კომპანიამ გადაწყვეტილება გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოში. მენეჯმენტის შეფასებით, არსებობს მაღალი ალბათობა, რომ სხვა ყველა სარჩელი დასრულდეს იგივე შედეგით. შესაბამისად, შეიქმნა რეზერვი 50 ლარის ოდენობით.

2022 წელს განხორციელებული საკადრო ცვლილებების შედეგად რამოდენიმე დამსაქმებლის მიერ მოხდა სარჩელის შეტანა შრომითი ურთიერთობის უკანონო შეწყვეტის გამო. პირველი ინსტანციის გადაწყვეტილების გათვალისწინებით მენეჯმენტი მოელის ერთი თვის ხელფასისა და 2 თვიანი იძულებითი განაცდენის კომპენსაციის დაკისრებას, ჯამური თანხით 8,4 ლარის ოდენობით.

კომპანიამ საქალაქო სასამართლოში გაასაჩივრა კომუნიკაციების კომისიის 2022 წლის 23 აგვისტოს გადაწყვეტილება N გ-22-16/384 შპს „მთავარი არხისთვის“ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე. კომისიამ არხი ცნო სამართალდამრღვევად და დააჯარიმა მისი წლიური შემოსავლის 1 %- ის ოდენობით - 119 ლარით. საქმე ფინანსური ანგარიშგების გამოცემის თარიღისთვის წარმოებაშია პირველ ინსტანციაში, საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში. მენეჯმენტის შეფასებით, არსებული სიტუაციის გათვალისწინებით არსებობს მაღალი ალბათობა, რომ სასამართლომ გაამართლოს კომისია და არხს მოუწიოს ჯარიმის 119 ლარის გადახდა.

2024 წლის 6 თებერვალს კომპანიას ჩაბარდა სარჩელი 2023 წლის შაბათის მთავარი სიუჟეტის ერთ-ერთ ანონსთან დაკავშირებით. სასარჩელო მოთხოვნას წამოადგენს გავრცელებული ცილისმწამებლური ინფორმაციის უარყოფა და სასამართლოს მიერ დადგენილი ფორმით გამოქვეყნება. აღნიშნულთან დაკავშირებით, შეიქმნა რეზერვი 50 ლარის ოდენობით.

ყველა ზემოთ მოცემულ სასამართლო დავებზე ფინანსურ ანგარიშგებაში შექმნილია რეზერვი შესაბამისი პირობით ვალდებულებებთან დაკავშირებით.

19. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

მხარეები, როგორც წესი, განიხილება, რომ ურთერთდაკავშირებულნი არიან, თუ იმყოფებიან საერთო კონტროლის ქვეშ ან თუ ერთ მხარეს აქვს სხვა მხარის კონტროლის უნარი ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს მეორე მხარეზე ან განახორციელოს ერთობლივი კონტროლი მეორე მხარეზე ფინანსური და ოპერატიული გადაწყვეტილებების მიღებაში.

კომპანიასა და დაკავშირებულ მხარეებს შორის არსებული ოპერაციები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	კავშირის სახე	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	კომპანიის მეწილე	-	91
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	კომპანიის მეწილე/საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	1,896	1,909
მიღებული სესხი	კომპანიის მეწილე	1,980	1,644
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება	კავშირის სახე	2023	2022
ფინანსური ხარჯი	კომპანიის მეწილე	176	155
		2023	2022
უმაღლესი მმართველობითი რგოლის ხელფასები		687	378

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

20. ბალანსის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ერთ-ერთი მეწილის მიერ საწესდებო კაპიტალი შეივსო ფულადი ფორმით 1,341 ლარით.

2024 წელს შეიცვალა კომპანიის პარტნიორთა წილობრივი გადანაწილება, კერძოდ, ნიკა გვარამია აღარ ფლობს კომპანიის წილს და მის ნაცვლად კაპიტალის 12%-ის მესაკუთრეა სოფიო ლილუაშვილი.